

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საერთაშორისო ურთიერთობები |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში |
| პროგრამის მოცულობა კრედიტებში | საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: ძირითადი სასწავლო კურსები - 180 კრედიტი (150 კრედიტი სავალდებულო და 30 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები), დამატებით სპეციალობა/არჩევითი კურსები- 60 კრედიტი. |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია | სტუდენტებს მისცეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ფართო ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობებში; ასევე დარგის ძირითადი ცნებების და თეორიების, საერთაშორისო პოლიტიკის ფაქტორების, მექანიზმებისა და ინსტიტუტების შესახებ; მოახდინოს საერთაშორისო ურთიერთობების ზოგადი გააზრება და პროგრამული საგნების იმ დონეზე შესწავლა, რაც შექმნის შემდგომი უწყვეტი განათლების მოთხოვნილებისა და უზრუნველყოფის საფუძველს. |
| სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები) | <p>ზოგადი (ტრანსვერსული) კომპეტენციები</p> <ul style="list-style-type: none"> - აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. აცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს. - შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე, ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; - შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; - შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე; - შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა; - მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად <p>დარგობრივი კომპეტენციები</p> <ul style="list-style-type: none"> -- აქვს ფართო ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ; აცნობიერებს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციებს, კანონზომიერ პროცესს და მასთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებს. -- ფლობს საერთაშორისო პოლიტიკის ინტერპრეტირების უნარს ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ კონტექსტში; ფლობს საერთაშორისო მოვლენების, პროცესებისა და პოლიტიკის გააზრებისა და ადეკვატურად რეაგირების უნარს. -- საერთაშორისო ურთიერთობების საკვანძო საკითხების და პრობლემების იდენტიფიცირების და ფორმულირების, ანალიზის და შესაბამისი დასკვნის უნარი; - შეუძლია დარგობრივი ლიტერატურის წაკითხვა და გააზრება პოლიტიკის სახასიათო ტექნიკისა და ტერმინოლოგიის გამოყენებით (წერილობითი და ზეპირი); - საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო, სამოქალაქო და საზოგადოებრივი ეთიკური ნორმების, ჰუმანიზმის, დემოკრატიის და ლიბერალური ღირებულების პრინციპების და გააზრება, აღიარება, დაცვა და პატივისცემა. |
| შეფასების წესი | <p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> |
| საკონტაქტო პირი | ასოცირებული პროფესორი ირაკლი მანველიძე ტელ 577 14 10 99 Irakli.manvelidze@yahoo.com |

